ტ.ნ. ვ.ს.

# ხელშეკრულება №

10იანვარი 2014 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შ.პ.ს თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო მის: თბილისი ს. ჩიქოვანის ქ№14 (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის თ.წულუკიძე სახით და მეორეს მხრივ შპს „დი და ჯი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ლაშა მაისურაძე სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლის სახსრებით, ქსოვილის ნაჭრები (CVP კოდი 39500000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ხელშეკრულება დადებულია გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 200(ორასი) ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ს.ჩიქოვანის ქ№14.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

4.4 საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას ან/და მიღება-ჩაბარების აქტს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია (ეტაპობრივად ან უამისოდ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულბის დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 31.12.2014.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყონებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი

მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| შ.პ.ს თბილისი ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო მის: ქ. თბილისი ს. ჩიქოვანის ქ№14<br>საიდენტიფიკაციო კოდი 204871594<br><br>საავადმყოფოს დირექტორი:<br>თ.წულუკიძე | შპს „დი და ჯი"<br>ს/კ202066655<br>ალმაშენებლის გამ. №154<br>ტ-2-94-37-08, 2-91-01-69<br>ბანკი საქართველოს ბანკი<br>ბ/კ BAGAGE22<br>ა/ნ GE70 BG00 0000 0344 1507 00<br><br>დირექტორი<br>ლ.მაისურაძე |